

ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თარგმანისა და ლიტერატურული  
ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის  
სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 5 სექტემბრის N237/01-01 ბრძანების  
საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 ოქტომბრის N118/2024 დადგენილების საფუძველზე  
დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

“24“ ოქტომბერი, 2024წ.

ქ. თბილისი

17:00 საათი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია №317

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან ხუთივე წევრი:

1. მარიამ მირესაშვილი - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნესტან ციციშვილი - საქრთველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, ფილოლოგიის დოქტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ნინო წერეთელი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. თამარ შარაბიძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი);
5. ივანე მჭედელაძე - თსუ-ს მოწვეული პედაგოგი, ფილოლოგიის დოქტორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის - I საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, მარიამ მირესაშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის - I საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) - სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში საბუთები შემოიტანა I კანდიდატმა - ეკატერინე ნავროზაშვილმა.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმოზარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ერთი კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ეკატერინე ნავროზაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, აქტიურად არის ჩართული ფაკულტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის უკვე დაბეჭდილი პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; კონკურსანტს ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული 20 სამეცნიერო კონფერენციაში; კვლევითი სტიპენდიით იმყოფებოდა ოსტროვის სემიტურ სკოლაში; 2017 წლიდან არის 4 საბაკალავრო, 21 სამაგისტრო და 4 სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი; ასევე, არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტი, დოქტორანტთა კვლევითი პროექტებისა და სემინარების რეცენზენტი.

უცხოეთის ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო პუბლიკაციებით, თარგმანებით და მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.



წარმოდგენილ კონცეფციაში კონკურსანტმა უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანმცოდნეობის მეცნიერული შესწავლის შემდგომი გაღრმავება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რაც ორიენტირებული უნდა იყოს ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე. ეს დარგები თსუ-ს საუნივერსიტეტო სივრცისათვის ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტისათვის, ტრადიციულია. კონკურსანტი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თარგმანმცოდნეობის თეორიული ასპექტების კვლევას, ანუ თარგმანის უზოგადესი ასპექტების შესწავლას, რაც საერთოა ენათა ნებისმიერი წყვილისათვის; ამასთან ერთად უნდა განვითარდეს თარგმანის კერძო თეორიები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თარგმანის სტრატეგიისა და მოდელების შესწავლას. აღნიშნულთან დაკავშირებით კონკურსანტმა დააფიქსირა, რომ გამართული, დახვეწილი ტერმინოლოგიის გარეშე შეუძლებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარება, ამიტომ კონკრეტული დარგის მკვლევრებთან ერთად სამომავლოდ უნდა დაიგეგმოს სპეციალურ ტერმინოლოგიაზე მუშაობა და პროფესიული ტერმინოლოგიური აპარატის გაფართოება; უნდა გაღრმავდეს, თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების, როგორც კულტურათა შორის დიალოგის, ფენომენის თეორიული ასპექტების შემდგომი შესწავლა. მთარგმნელობითი საქმიანობის კულტურათაშორისი ასპექტების სიღრმისეული კვლევა უნდა წარიმართოს როგორც ისტორიულ ჭრილში, ასევე თანამედროვე კულტურული ცხოვრების კონტექსტში, როგორც თარგმანმცოდნეობის, ასევე ლიტერატურული კომპარატივისტიკისა და კულტუროლოგიის წიაღში.

კონკურსანტმა აღნიშნა, რომ დარგის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაცია და სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, უცხოელი კოლეგების ჩართვა და ერთობლივი კვლევების წარმოება ან ერთობლივი საგრანტო პროექტების მომზადება. აღნიშნული თვალსაზრისით, კონკურსანტის თაოსნობით და აქტიური ჩართულობით თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტმა ჩაატარა არაერთი ღონისძიება; მათ შორის, სტუდენტური და პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციები. ასევე, კონკურსანტ ეკატერინე ნავროზაშვილის ინიციატივით და თაოსნობით 2012 წლიდან იმართება მთარგმნელის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტური ყოველწლიური კონფერენცია “თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების აქტუალური პრობლემები”. მნიშვნელოვანია, რომ კონკურსანტ ეკატერინე ნავროზაშვილის აქტიური ჩართულობით მომზადდა ბეჭდური რეცენზირებადი ჟურნალი “თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები - სამეცნიერო კვლევები”, რომლის პირველი ნომერი 2023 წელს გამოიცა და ამჟამად მზადდება მორიგი ნომერი.

ინტერნაციონალიზაციის კუთხით, მნიშვნელოვანია 2017 წელს დაარსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმში ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რომელიც თარგმანმცოდნეობის საკითხებს მიემდგვნა. სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებენ როგორც

ქართველი სტუდენტები, ასევე უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების ახალგაზრდა მკვლევრები, რაც ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებას.

კონკურსანტს სამეცნიერო კონცეფციაში კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

კომისიასთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ეკატერინე ნავროზაშვილის სამეცნიერო, პედაგოგიური გამოცდილება თანხვედრაშია მის მიერ წარმოდგენილ კონცეფციასთან, რომელიც, უდაოა, ხელს შეუწყობს სასწავლო-სამეცნიერო მიზნების განხორციელებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი).


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ მიიჩნია, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ეკატერინე ნავროზაშვილის კანდიდატურას. საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, უცხო ენების ფლობა (ივრითი, ძველი ებრაული, ინგლისური, რუსული), მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან. კონკურსანტ ეკატერინე ნავროზაშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა დაეხმარება თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტს დასახული მიზნების მიღწევაში (იხ. კონცეფცია).

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა ეკატერინე ნავროზაშვილი.
2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:



/პროფ. მარიამ მირეაშვილი/

თავმჯდომარის მოადგილე:

/ფილოლოგიის დოქტორი ნესტან ციციშვილი/ 

კომისიის მდივანი:

/ასოც. პროფ. ნინო წერეთელი/ 

კომისიის წევრები:

/ასოც. პროფ. თამარ შარაბიძე/ 

/ფილოლოგიის დოქტორი ივანე მჭედელაძე/ 

თარიღი: 24. 10. 2024